პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ოთხშაბათი, 2 დეკემბერი 1625 წ. ხელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

274 (972) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლობითური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## 1904 წელში დაბადებულთა წვევამდე მომზადება დაიწყო.

### წითელი ჯარი მხურვალედ ესალმება მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას და იმედოვნებს, რომ 1904 წ. წვევამდელები მისი ღირსეული ცვლა იქნება.

## წვევამდელო! მტკიცედ შეუდექი შენი მოვალეობის შესრულებას.

1904 წელში დაბადებულ მშრომელ ახალგაზრდობის წვევამდე მომზადება უკვე დაიწყო.

საბჭოთა კავშირის სამხედრო აღმშენებლობაში წვევამდე მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის პირველი საფეხურია შეიარაღებულ ძალების ორგანიზაციის საქმეში. რამდენათ წარმატებითი და ნაყოფიერი იქნება წვევამდე მომზადება, იმდენათ უფრო განმტკიცდება წითელი ჯარი, იმდენათ უფრო მაღალ დონეზე იქნება დაყენებული საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმე.

ყოველივე ეს აქედანვე კარგად უნდა შეითვისოს სამოსწავლო პუნქტებზე შეკრებილმა მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობამ.

ისინი დღეს პირველად იწყებენ სამხედრო სწავლებას. პირველად ეცნობიან სამხედრო საქმეს. წვევამდე მომზადება სულ თვენახევარს გასტანს. ეს დრო მეტად მცირეა. ამიტომაც წვევამდელებმა მართებთ მთელი თავისი რევოლიუციონური შეგნებით და გაასკეცებული ენერგიით შეუდგენ სამხედრო საქმის შესწავლას და რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერობით გამოიყენონ ეს მცირე ხანი. მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ ერთი წლის შემდეგ ისინი წითელ არმიის სრულუფლებიანი წევრები გახდებიან. წვევამდე მომზადება წინასწარი მზადებაა ნამდვილი სამხედრო სამსახურის გასავლელად.

მაშასადამე თითეული 1904 წელში დაბადებული ახალგაზრდა მუშა და გლეხი მოვალეა წარჩინებით გაიაროს წვევამდე მომზადება და ჯერ კიდევ წითელ ჯარში შესვლამდე შეიძინოს საკმაო წარმოდგენა სამხედრო საქმეზე.

საამისო პირობები ჩვენს წვევამდელს წრეულს აქვს. შარშანდელთან შედარებით სამოსწავლო პუნქტები სათანადოთ მოწყობილია და საერთოდ მთელი წვევამდე მომზადების მატერიალური პირობებიც საკმაოდ მოგვარებულია.

ჯერი 1904 წლის მშრომელ ახალგაზრდობაზეა.

მხნედ და ენერგიულად უნდა შეუდგენ ისინი სამხედრო და პოლიტმეცადინეობას. აქედანვე უნდა შეიგნონ სამხედრო დისციპლინის საჭიროება და კიდევაც უნდა განამტკიცონ ასეთი. უდისციპლინოთ ყოველგვარი სამხედრო სწავლა ფუჭია.

ხოლო როცა დისციპლინა მაგარი და მტკიცეა, მაშინ სამხედრო სწავლაც დიდათ ნაყოფიერია.

წვევამდელო! მხნედ შეუდექი სამხედრო-პოლიტიკურ სწავლას!

ნურც ერთ წუთს ნუ გაატარებ ტყუილა უბრალოდ. მთელი დრო, მთელი შენი ენერგია მოახმარე სამხედრო საქმის შესწავლას, წვევამდე მომზადებას!

კარგად ემზადე, რომ გახდე წითელი არმიის ღირსეული ჯარისკაცი მომავალში.

## მუდამ მზად უნდა ვიყვეთ.

ამ დღეებში გერმანიის რეიხსტაგმა (პარლამენტმა) დაამტკიცა ლოკარნოს ხელშეკრულება.

იგივე ხელშეკრულება დაამტკიცა აგრეთვე ინგლისის პარლამენტმაც. ამრიგად როგორც ვხედავთ ლოკარნოს ხელშეკრულება უკვე იწყებს ხორცის შესხმას და მალე ის ოფიციალურად ხელმოწერილიც იქნება ყველა იმპერიალისტურ ქვეყნების წარმომადგენელთა მიერ.

პირველ ყოვლისა რა არის ლოკარნოს ხელშეკრულება?

ეს არის ახალი კავშირი ბურჟუაზიული ქვეყნებისა მიმართული საბჭოთა რესპუბლიკების და საერთოდ რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ.

რასაკვირველია თვით ამ ხელშეკრულების შემქმნელნი ამას არ ამბობენ. პირიქით, ისინი ლაპარაკობენ, რომ თითქოს, ლოკარნოს ხელშეკრულება ისახავს მიზნად მშვიდობიანობის და ზავის განმტკიცებას ევროპაში. მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ მტრებს რომ სიტყვაზე დაუჯეროთ, მაშინ ისინი ადრე დაგვამარცხებდენ. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა არის ამოფარებული მტრის ლამაზი სიტყვების ქვეშ.

ლოკარნოს ხელშეკრულების ძალით ამ ახალ კავშირში შედის გერმანიაც. რასაკვირველია გერმანია ამ კავშირში არ ითამაშებს ხელმძღვანელ როლს. ის იმიტომ შეიყვანეს ამ კავშირში საფრანგეთმა, ინგლისმა და ამერიკამ, რათა გამოიყენონ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანიამ მიიღო ერთ ერთი მუხლი, რომლის ძალით ის მოვალეა თავის მოწო წყალზე გაუშვას თავის მოკავშირეების ჯარი. ე. ი. თუ ინგლისმა და საფრანგეთმა დააპირა ჩვენთან ომი, მათი ჯარებიც თავისუფლად მოადგებიან ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს გერმანიის რკინის გზების საშუალებით.

ამრიგად ლოკარნოს ხელშეკრულება მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს აშკარა და უდავო ჭეშმარიტებაა.

საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტრები—ყველა ქვეყნის იმპერიალისტები კვლავ ემზადებიან ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად.

რასაკვირველია ეს არ იქნება დღეს ან ხვალ, მაგრამ ჩვენ მაინც მუდამ მზად უნდა ვიყოთ. თუ მტერი ემზადება ჩვენზე გამოსალაშქრებლად, ჩვენც მზად უნდა დავხვდეთ ღირსეული პასუხის გასაცემად.

ეს მდგომარეობა თითეულ წითელ არმიელმა კარგად უნდა შეიგნოს და გაითვალისწინოს. მისი წმინდა მოვალეობაა მეტის ენერგიით დაეწაფოს სამხედრო საქმეს და განამტკიცოს წითელი არმიის რიგები.

ძლიერი წითელი არმია კი მუდამ შესძლებს ჩვენი მტრების ყველა გეგმების ჩაფუშვას.

—ე.

## ახალი რადიო-ამბები

### სამოქალაქო ომი ჩინეთში

**მოხდა შეტაკება ცინდაოდან მოსულ და ადგილობრივ ჯარებს შორის.**

**ჩჟან-ძო-ლინი უკან იხევს. პეკინის მთავრობა გადადგა.**

აკრძალულია ყოველგვარი მიტინგები და დემონსტრაციები.

ხარბინში სამხედრო წესებია გამოცხადებული.

ჩჟილის გენერალ-გუბერნატორი ლი-ჩჟან-ლინი გაიქცა ტიან-ცზინში.

ფინ-იუი-სიანი აპირებს სახალხო არმიების კონფერენციის მოწვევას.

ჩიფუში მოხდა შეტაკება ცინდაოდან მოსულ დესანტსა და ადგილობრივ ჯარებს შორის.

დესანტის ჯარებმა გაიმარჯვეს. ადგილობრივ ჯარების ერთი ნაწილი განაიარაღეს, მეორე ნაწილი კი გაიქცა.

გონ-სუნ-ლინის ჯარები უტევენ ჩჟან-ძო-ლინის ჯარებს ჩჟან-ძო-ლინი უკან იხევს.

გადადგა პეკინის მინისტრთა მთელი რიგი გამოჩენილი მოხელეები.

პრეზიდენტი დუან-ცზი-ჩჟუი უარს ამბობს ქვეყნის მართვაზე, სანამ არ გაიგებს ფინ-იუი-სიანის განზრახვებს. ამრიგად პეკინის მთავრობა უკვე აღარ არსებობს.

ფინ-იუი-სიანმა გასცა ბრძანება დაცულ იქნას წესრიგი და არ დაუშვან მღელვარება, აკრძალულია მიტინგები და მუშათა და სტუდენტების დემონსტრაციები.

### სპარსეთის დამფუძნებელი კრება.

7 დეკემბერს გაიხსნება სპარსეთის დამფუძნებელი კრება.

სპარსეთის მთავრობასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება საბჭოთა კავშირში სპარსული ფულის მოჭრის შესახებ 3 მილ. თუმნის რაოდენობით.




### დრუზები ემზადებიან საერთო აჯანყებისთვის საფრანგეთის წინააღმდეგ.

**პალესტინის უკმაყოფილო მოსახლეობა მზადაა აჯანყებისათვის.**

საფრანგეთის ყველა კოლონიებში დრუზები იმუშავებენ აჯანყების გეგმას საფრანგეთის წინააღმდეგ.

პალესტინის უკმაყოფილო მოსახლეობა უცდის მხოლოდ ნიშანს, რომ შეუერთდეს საერთო აჯანყებას.

აჯანყების მოსამზადებლად დრუზებმა კავშირი გააბეს ალჟირს, ტუნისსა და ინდო-ჩინეთთან.

### შეთანხმება ინგლისსა და ვახაბიტებს შორის.

მოხდა შეთანხმება ინგლისსა და აჯანყებულ ტომების — ვახაბიტების მეთაურ იბნ-საუდს შორის: ბრიტანეთის მთავრობამ უნდა აძლიოს იბნ-საუდის არმიას ყოველ წლიურ დახმარების სახით 200 გირვანქა სტერლინგი იმის შემდეგ, როცა ჩამოგდებული იქნება ზავი ვახაბიტებსა და გეჯასს შორის.

ინგლისის მთავრობა დაიცავს იბნ საუდის ინტერესებს საზღვარ გარედ, კერძოდ სირიაში.

### რიფებმა კვლავ განაახლეს შეტევა ფრანგების წინააღმდეგ მაროკოში

მაროკოში მყოფ ინგლისელ კორესპონდენტის ცნობით რიფები ემზადებიან შეტევისათვის ყველა ფრონტებზე. ფრანგების ზოგიერთ პოზიციებზე უკვე მოხდა თავდასხმა. ხშირი და ძლიერი წვიმების გამო გზები ფუჭდება და გაუვალი ხდება. საფრანგეთის ჯარებს დიდი დაბრკოლებები ხვდება წინ სურსათ-სანოვაგის მიღებისა და მოწინავე ხაზების დაცვის საქმეში.

# საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობა.

30 ნოემბერს, საღამოს 8 ნახ. ს. სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიხსნა საქართველოს კომუნისტურ პარტიის მეოთხე ყრილობა.

საღამოდან თეატრს აუარებელი ხალხი მოაწყდა. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულია დელეგატები.

ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილ დელეგატებში ისმის საქმიანი საუბარი. სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსული დელეგატები მეგობრულად ეცნობიან ერთმანეთს, ეცნობიან ერთი მეორეს ყოფა-ცხოვრებას, მუშაობას და მიღწევებს სხვა და სხვა დარგში. სცენაზე მოსჩანს ლენინის წითელი დროშებით შემოსილი ბიუსტი. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს.

ყრილობა იგონებს დიად ბელადს და კომუნიზმისათვის თავდადებულ მებრძოლთა უკანასკნელ მსხვერპლთ.

**სხდომის გახსნა.**

სრულ ცხრის ნახევარზე საერთო სხდომას გახსნილად აცხადებს ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც უსურვებს მეოთხე ყრილობას კიდევ უფრო განემტკიცებიოს ის კავშირი და ურყევი ამხანაგური სოლიდარობა, რომელიც განსაკუთრებით აღინიშნა წარსულ ყრილობის მუშაობით.

**პრეზიდიუმის არჩევა.**

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვის შემდეგ ყრილობა შეუდგა პრეზიდიუმის არჩევას. პრეზიდიუმში ერთხმად არჩეული არიან: ამხ. ამხ. ველსკი, გოგია, გეგეშიძე, გეგეჭკორი, დოლიძე ანდრო, ჯაფიევი, ელენტი, ქართველიშვილი, კახიანი, ყურულაშვილი, ქურდაძე, ქავთარაძე ლადო, კვანტალიანი, კვაჰაძე, ლაკობა, ლუკაშინი, ლორთქიფანიძე, მახარაძე, მელაძე, ნაზარეთიანი, ორჯონიკიძე, ოკუჯავა, ფანცულაია, რატნეკ, სუხიშვილი, სტურუა ვანო, ცხაკაია, ზაბანოვი, ელიავა, ენუქიძე და დარახველიძე.

**სარედაქციო კოლეგია.**

არიზეკოვი, ბახტაძე ვ., ვარამაშვილი, გოგობერიძე, კუკნაძე ნ., გიორგაძე და საყვარელიძე.

**სამდივნო**

ჟვანია, კოსტანიანი, სვანიძე, ურუშაძე და წულუკიძე.

**სამანდატო კომისია.**

არუთინოვი, ვართაპეტოვი, გობეჯიშვილი, ივანოვ-კავკაზსკი, მაშკევიჩი, რამიშვილი და სიამაშვილი.

**საპატიო თავმჯდომარეები**

საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. სტალინი, ბუხარინი, ზინოვიევი, რიკოვი, კრუპსკაია, ენუქიძე, კამენევი, ტროცკი, ვოროშილოვი და კლარა ცეტკინა.

დღის წესრიგის შემუშავების შემდეგ დაიწყო მისალმები.

**მისალმებანი.**

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს სახელით ყრილობას ესალმება ძველი მუშა დავით ლორთქიფანიძე, რომელიც აცხადებს, რომ მუშები მტკიცედ და მაღლა ატარებენ იმ დროშას, რომელიც მათ მოიპოვეს დიდი ოქტომბრის და საქართველოს თებერვლის მეოხებით. ჩვენი რევოლიუციონური გამძლეობა და თავდადება ისევე ურყევი და შეუდრეკელი იქნება, როგორც ორთქმავლის წინა ნაწილი ბუფერი,—ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. ლორთქიფანიძე.

**ამხ. რაზმაძის სიტყვა.**

თბილისის დეპოს მუშების სახელით ყრილობას ესალმება ამხ. რაზმაძე, რომელიც აცხადებს, რომ დღეს მენშევიკური პარტია იდეურად და ორგანიზაციულადაც გაკოტრებულია. მას ჩამოშორდა 12 ათასი მუშა და გლეხი.

ჩვენ, უპარტიო მუშები, — ამბობს ის, ფიცსა ვდებთ საქართველოს კომპარტიის მე 4 ყრილობის წინაშე, რომ თბილისის დეპოს მუშები ჰირშიაც და ლხ ნშიაც განუყრელათ თქვენთან იქნებიან.

**ამხ. კაციტაძის სიტყვა.**

ზემო-ავჭალის ელექტრო-სადგურის მუშების სახელით ყრილობას ესალმება და აცხადებს, რომ საქ. კომპარტიის მე-5 ყრილობისთვის ელექტრონის შუქით მოფენილი იქნება საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქი და მისი მიდამოები.

**ამხ. წერეთლის სიტყვა.**

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის სახელით სალამს უძღვნის ყრილობას და აცხადებს, რომ წელს მიღებული იქნა უნივერსიტეტში 2.000 მშრომელი ახალგაზრდა და იმედს გამოსთქვამს რომ საქ. კომპარტია მიიღებს ზომებს მშრომელი ახალგასრდობის კულტურულ მისწრაფებათა ნივთიერ უზრუნველყოფისათვის.

მისასალმებელ სიტყვებით გამოდიან: ტრამვაის წარმომადგენელი ამხ. ბერიაშვილი, მბეჭდავთა კავშირის—ყურძენიძე, არსენალის—ალოპოვი, კოლოფის ქარხნის—თვრალაშვილი, ჭიათურის მუშების სახელით—ცირიკაძე.

**ამხ. ლონლაძის სიტყვა.**

ტერდივიზიის სახელით ყრილობას მხურვალეთ ესალმება ამხ. ლონლაძე, რომელიც თავის მოკლე სიტყვაში ხაზს უსვამს დღევანდელ წითელ არმიის, როგორც მშრომელთა განათლების ერთ-ერთ კერათაგანს. ჩვენი მკერდი,—აცხადებს ის,—რევოლიუციის მონაპოვართა საიმედო ფარია.

ამხ. ლონლაძეს ყრილობა ხანგრძლივ ოვაციას უმართავს.

**ამხ. ქათამაძის სიტყვა.**

აჭარისტანის პედაგოგიურ ინსტიტუტის და საერთოთ მოსწავლეთა სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ქათამაძე და აცხადებს, რომ არც ერთი მთავრობის დროს არ ყოფილა ცდა, რომ აჭარა გამოსულიყო სიბნელიდან და უვიცობიდან. ყველანი ცდილობდენ ჩვენს დამონავებას. მაგრამ, როდესაც ოქტომბრის რევოლიუციის ხმა მეხივით დაეცა ჩვენს მჩაგვრელებს, აჭარისტანი აღორძინების გზას დაადგა. ჩვენ აჭარისტანის მშრომელი მასა საქართველოს მშრომელებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული ვიბრძოლებთ და დავიცავთ საბჭოთა ხელისუფლებას კომუნისტურ პარტიის მეთაურებითო.

**ამხ. გოგიტიძის სიტყვა.**

ქობულეთის მაზრის, უპარტიო ფუხარა ხალხის სახელით ყრილობას მხურვალედ ესალმება ამხ. გოგიტიძე, რომელიც თავის მოკლე სიტყვაში აცხადებს, რომ აჭარისტანი არის საქართველოს ნაწილი და მათ ვერავინ გამოგლეჯთ ერთმანეთს. კომუნისტურ პარტიის მუშაობით შეერთდა მუშა და გლეხი. დასასრულ ის აცხადეს, რომ მათ ქვეყანაში არ არიან მენშევიკები და ისინი საქართველოს მთავრობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ივლიან.

**ამხ. ბოლქვაძის სიტყვა.**

აჭარისტანის უპარტიო გლეხკაცობის სახელით კრებას ესალმება ამხ. ბოლქვაძე, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ გლეხები ვართ, დიდი კავშირი გვაქვს თქვენთან იმიტომ, რომ თქვენ სპობთ თოფს და ქმნით ძმობას და მოყვრობას. ჩვენ თქვენთან ვართ, გვერდში ამოგიდგებით და ჩვენი თავისუფლების წინაღმდეგ ვინც გაბედავს გამოლაშქრებას, ჩვენც თქვენთან ერთად სისხლს დავღვრით.

**ამხ. დიასამიძის სიტყვა.**

ამხ. დიასამიძე მისალმების შემდეგ ამბობს, რომ მას ყავს ოთხი შვილი, თბილისი რომ აჩუქოთ მას ის ერთ ბავშვსაც არ დაათმობს, მაგრამ ეხლანდელ მთავრობისთვის რომ საჭირო იქნეს ის ოთხივე შვილს შესწირავს.

აჭარისტანის დელეგაციას ყრილობის სახელით პასუხი გასცა ამხ. მ. ცხაკაიამ.

სხდომა დაიხურა 10 საათზე.

# როგორ მოემზადენ.

**წვევამდელთა ჯგუფის პოლიტხელების სემინარის მუშაობიდან მეხუთე ლეგიონში.**

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდათა საერთო სამხედრო სწავლებას, წვევამდელთა მომზადებას. ჩვენ ვიცით, რომ წვევამდელთა მომზადება დამოკიდებულია წვევამდელთა შორის სამუშაოთ გამოყოფილ მომზადებულ ამხანაგებზე—პოლიტხელებზე. და აი ამიტომ იყო, რომ თავის დროზე სათანადო ყურადღება მიაქცია წვევამდელთა ჯგუფის პოლიტხელების გამოყოფას საქარ. ა. ლ. კ. კ. ცეკამ და მე-2-ე დივიზიის პოლიტგანყოფილებამ, რომელნიც თვის ცირკულიარ № 8 მიუთითებდენ ლენინელთა კომკავშირის ყველა მაზრკომებს, რომ უკანასკნელებმა წვევამდელთა ადგილობრივი წერტებ უზრუნველჰყონ მომზადებულ ამხანაგებით. პოლიტგანყოფილებამ თავის მხრივ გადადგა სათანადო ნაბიჯი წვევამდელთა ჯგუფის პოლიტხელების მოსამზადებელი სემინარის დაარსებაზე ყველა ლეგიონებში. ასეთ გადადგმულ ნაბიჯებს არ ჩამორჩა მე-5-ე ლეგიონიც, რომელმაც ადგილობრივ მაზრკომთან ერთად მიიღო შესაფერისი ზომები ჯგუფის პოლიტხელების ყოველმხრივ უზრუნველყოფისათვის და დაიწყო სამზადისი მოსამზადებელ სემინარის დაარსებაზე.

21 ნოემბერს მე-5-ე ლეგიონში უკვე თავს იყრიან სხვა და სხვა თემებიდან წამოსული წვევამდელთა ჯგუფის პოლიტხელები, რომელნიც მოდიან აქ, რომ გაეცნონ წვევამდელთა მუშაობის ამოცანებს, შეითვისონ ყველა მხარეები მუშაობისა და სათანადოთ მომზადებულნი გავიდენ წვევამდელთა მასებში სამუშაოთ.

ახალგაზრდა პოლიტხელებისათვის მე-5-ე ლეგიონში მოწყობილია ბინა,—სრული უზრუნველყოფით, საგებ-სახურავებით, სასადილოთი და ბიბლიოთეკით. აქვეა ბიბგამგე, რომელიც სემინარებზე მოსულ ამხანაგებს აძლევს რჩევას და დარიგებას.

სემინარის მეცადინეობას ესწრება 30 ამხანაგი, რომლებიც აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნილებებს; ყველა ჯანსაღია, ყველა ცოცხლათ გამოიყურება და დიდი სურვილი აქვთ მასაში მუშაობისა, ამას ზედ ერთვის მათი საერთო სასკოლო მომზადებაც, 30 კაციდან 27 საშუალო და 7 დაბალი განათლებითაა, რომლებიც წარმოშობილი არიან მუშებისა და გლეხების წრიდან და ყველა კარგათ იცნობს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრებას.

23 ნოემბერს იწყება მეცადინეობა; ლექტორები სცდილობენ ყოველ მხრივ და სათანადოთ გააშუქონ და სავსებით ამოსწურონ ესა თუ ის თემა, ხოლო სემინარის მსმენელები კი სცდილობენ ყოველი ლექტორის სიტყვა სავსებით შეითვისონ. მეცადინეობა სწარმოებს დაკვრითი წესით. ყველა თავისთვის ამუშავებს მოსმენილ თემებს და შემდეგ კი კოლექტიურათ იხილავენ მას.

გაამართლებენ თუ არა ჯგუფის პოლიტხელები მათზე დაკისრებულ მოვალეობას? აი საკითხი, რომელიც იდგა მე-5-ე ლეგიონის პოლიტ-მუშაკების წინაშე. ამაზე სათანადო პასუხი გაგვცა 27 ნოემბერს მოწყობილ სანიმუშო პოლიტსაათებმა, რომელიც ჩატარდა წვევამდელთა ჯგუფის პოლიტხელების მიერ. ამ სანიმუშო პოლიტსაათმა დაგვარწმუნა, რომ სულ მცირე დროის განმავლობაში მსმენელებმა სათანადოთ შეითვისეს ყველა ის მხარეები და მეთოდები, რომელიც ესაჭიროება ჯგუფის პოლიტხელს წვევამდელთა მასაში სამუშაოთ.

მე-5-ე ლეგიონის სემინარის მუშაობა და მსმენელების მიერ თემების შეთვისება დამაკმაყოფილებლათ უნდა ჩაითვალოს. ამის შემდეგ ლეგიონის მწვევამდელთა წერტები უზრუნველყოფილია სათანადოთ მომზადებულ პოლიტხელებით, რომელნიც პირნათლათ და ბეჯითად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ამასთანავე ერთად სკოლის გარეშე მუშაობის ფორმებსაც და მეთოდებსაც მსმენელები სათანადოთ გაეცვნენ და მათ მიერ სანიმუშოთ მოწყობილ იქნა ლენინის კუთხე, გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთი.

ალ.

# რა უნდა ისწავლოს წვევამდელმა

## რა მიზნებს ისახავს წვევამდე მომზადება

პირველ დეკემბრიდან იწყება 1904 წელში დაბადებულ მოქალაქეთა წვევამდე მომზადება. სავალდებულო სამსახურის კანონით წვევამდე მომზადების საერთო დრო უდრის 420 საათს 2 წლის განმავლობაში, 210 საათს წელიწადში. ამ პროგრამის გავლას მოკლე დროით შეკრებაზე (5—6 დღე) და 2—3 დღიანი შესვენებით დასჭირდება თვენახევარი წვევამდელის მეცადინეობაზე მიზიდვა.

რა ამოცანებს ისახავს წვევამდე მომზადება?

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მომზადება მჭიდროდაა დაკავშირებული მეომრის შემდეგ მომზადებასთან ჯარში. მაშასადამე წვევამდე მომზადება წარმოადგენს მთელი საბრძოლო მომზადების პირველ რგოლს, საძირკველს. ამ რიგად წვევამდე მომზადება, როგორც კანონშია აღნიშნული, სავალდებულოა ყველა მოქალაქესთვის, რომელთაც შესრულებიათ 19 წელი.

აქედან გამომდინარეობს წვევამდე მომზადების ძირითადი ამოცანა: მოემზადოს მტკიცე ნიადაგი წვევამდელის შემდეგ სამხედრო მომზადების საქმეს. ხოლო ეს კი მოითხოვს პოლიტიკურ და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებას.

პროგრამა შედგენილია ისე, რომ პირველ წელს წვევამდელი გადის მეომრის საერთო სკოლას, ხოლო მეორე წელში—სწავლობს იმ გვარის იარაღს, რომელთანაც მას საქმე ექნება წვევამდე მომზადების შემდეგ.

პოლიტიკური მეცადინეობა ამზადებს წვევამდელისაგან შეგნებულ მოქალაქეს და უნერგავს მას სამხედრო დისციპლინას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფიზიკურ მომზადებას, რომლის მიზანია შექმნას მეომარი ფიზიკურ მეცადინეობას.

წვევამდელის სამხედრო განათლებაში შედის შემდეგი:

1) ბრძოლის ტეხნიკურ საშუალებათა შესწავლა (ხელის სატყორცნი გრანატების, სანგრის, შენიღბვის საქმისა და სამხედრო ქიმიურ საქმის შესწავლა) და 2) ტაქტიკური სასროლო მომზადება.

ამრიგად, საბოლოო ანგარიშში წვევამდე მომზადებამ უნდა მოგვცეს საერთო სამხედრო სკოლა, ე. ი. პირველ საბრძოლო მომზადების საფეხურ გავლილი მეომარი.

პ.

## მხოლოდ კარგ წვევამდელს შეუძლია გახდეს კარგი წითელარმიელი.

წვევამდე მომზადების საქმეში მთავარია საკითხი წითელი არმიის ორგანიზაციის შესახებ, წვევამდელის მიერ მომავალში სამხედრო სამსახურის გავლის, დისციპლინისა და სამხედრო აღზრდის საკითხები. ყველა დანარჩენი საკითხები, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, კოოპერაცია, მიწათმოწყობა, დაზღვევა და სხვა—ყველაფერი ეს გარჩეულ იქნება სკოლის გარეშე მუშაობის საათებში.

სროლის საქმეში სწავლების პირველ წელს ჩატარებულ იქნება ისეთი მეცადინეობა, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს წვევამდელში ცალკეული მსროლელი, რომელსაც ეცოდინება თავისი იარაღის აგებულობა, მისი ხმარება და საბრძოლო დანიშნულება. წვევამდელები გაივლიან დაწყებითი სროლას, რაც მათ მისცემს იარაღის ხმარების პრაქტიკას.

ფიზიკურ მომზადებამ და სანიტარულ განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რათა წვევამდელი გახდეს სოფლად სასპორტო საქმისა და სანიტარულ განათლების ხელის შემწყობი.

წვევამდე მომზადების წარმატება ბევრადაა დამოკიდებული ინსტრუქტორთა შემადგენლობაზე და იმ პოლიტიკურ ხელმძღვანელებზე, რომლებმაც უნდა ჩაატარონ მუშაობა მოსამზადებელ წერტებზე. მაგრამ თვით წვევამდელებმა მეტი გულმოდგინეობა უნდა გამოიჩინონ, რათა დახარჯული დრო უბრალოდ არ დაიკარგოს.

წვევამდელებმა უნდა ახსოვდეს, რომ მათი მომზადება უბრალო თავის ქცევა კი არაა, არამედ სერიოზული საქმეა. ყველაფერი ის, რასაც მათ ასწავლიან მოსამზადებელ წერტებზე, არმიაში არ განმეორდება და მოსამზადებელ წერტებზე ჩამორჩენილი არმიაშიც მუდამ ჩამორჩენილი იქნება.

მეტი ყურადღება წვევამდე მომზადებას, მეტი გულმოდგინეობა მოსამზადებელ წერტებზე მუშაობაში!

პ—ნი.

„კ. პ."

# უცხო სიტყვების ახსნა.

**ინდუსტრია**—მრეწველობა.

**ყიბლანი**—ხელსაწყო, რომლის შემწეობით გამოიცნობა ქვეყნის სხვა და სხვა მხარე.

**კოლონია**—ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ დაპყრობილი—დამონავებული მცირე სახელმწიფოები.

**კონფერენცია**—სახელმწიფოს დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა, რომელსაც აქვს სათათბირო ხასიათი.

**დესანტი**—გემების საშვალებით გადაყვანილი ხმელეთის ჯარი.

**პროტესტი**—გალაშქრება უკანონო მოქმედების ან გამოსვლის წინააღმდეგ.

# ზამთრის სწავლება დაიწყო. წითელ არმიელებო, მხნედ შეუდექით სამხედრო და პოლიტიკურ მზადებას.

## ჩვენი მუშაობა ცვალებადელთა შორის.

4-ე ლეგიონის 6-ე ასეული.

ამას წინად № ქალაქში მოწვეულ იქნა ცვალებად წითელ არმიელთა რაიონული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ცვალებადელთა უმრავლესობა.

კონფერენციის მიზანი იყო განემტკიცებინა კავშირი ცვალებადელთა და ნაწილს შორის და გამოემუშავებინათ გეგმა პოლიტ-სამხედრო მეცადინეობისათვის.

მართლაც დამსწრე ცვალებადელებმა გამოსთქვეს სურვილი და დაადგინეს, რომ პოლიტიკური და სამხედრო მეცადინეობის გაღრმავებისათვის ყველა ცვალებადელი ვალდებულია გამოცხადდეს თავის ნაწილში კვირაში ერთხელ ყოველ კვირა დღეს.

ეს დადგენილება ცვალებადელებს მოყავთ სისრულეში. ისინი დანიშნულ დღეს, ყოველთვის ცხადდებიან ნაწილში, შეიკრიბებიან ლენინის კუთხეში და მეცადინეობენ. აქ ისინი კითხულობენ სხვა და სხვა გაზეთებს, ხსნიან გაუგებარ სიტყვებს და სხვა.

ამასთანავე ერთად ნაწილში მათთან ხდება სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა ორი საათი დღეში.

სამხედრო საქმე შეიცავს უმთავრესად თანამედროვე ტეხნიკასა და მის განვითარებას, სროლის საქმეს, ქიმიას და სხ. ამ მეცადინეობით ძლიერ დაინტერესებული არიან ცვალებადელები და კარგათაც ითვისებენ გადაცემულს.

პოლიტ-მეცადინეობაში გადიან უმთავრესად წითელი არმიის ისტორიას და მის აღმშენებლობას, ცვალებადელის მოვალეობას სოფლად და სხ.

ჩვენი ნაწილის მთელი შემადგენლობა ერთ წუთს არ კარგავს ტყუილად და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ცვალებადელთა შორის მუშაობაში.

ისინი ყოველ თავისუფალ დროს ხმა მაღლა უკითხავენ ცვალებადელებს სხვა და სხვა გაზეთებს, აწყობენ საუბრებს და სხვა.

სამხკორი მ. ხონელიძე.

## მეთაურები წვევამდელებთან სამეცადინოთ.

მე-5 ტერ-ლეგიონი.

24 ნოემბერს ლეგიონის სკოლის კურსდამთავრებული კურსანტები გადაგზავნილი იქნენ წერტებზე სამუშაოთ.

წასვლის წინ ლეგიონის ბიბლიოთეკამ ყველა ამხანაგებს დაურიგა წვევამდელთა მოსამზადებლად საჭირო ლიტერატურა-კოლექტიური აბონემენტით.

ლეგიონის სკოლაში აფხაზებიც სწავლობდენ. წასვლის წინ ამ ამხანაგებმა მოგვმართეს, რომ აფხაზეთში საერთოდ და კერძოთ იმ წერტზე, სადაც ისინი იგზავნებოდნენ დიდი ნაკლებობა არის აღნიშნული ხასიათის ლიტერატურისა და მოითხოვდენ, რაც შეიძლება მეტი ლიტერატურა გაგვეტანებია მათთვის.

ლეგიონის ბიბლიოთეკა სიხარულით შეეგება ამ მოთხოვნას და ამხანაგების თხოვნა დააკმაყოფილა.

ამხანაგები საკმაოდ მომზადებული არიან იმ მუშაობის საწარმოებლად, რომელიც მათ დაავალა ლეგიონმა და იმედი გვაქვს გაათკეცებული ენერგიით შეუდგებიან წერტებზე მეცადინეობას წვევამდელთა შორის.

გაუმარჯოს მათ მომავალ მუშაობას.

სამხკორი თ. ზაქარეული.

## როგორ გავისტუმრეთ გრძელ ვადიან შვებულებაში.

მეთაურთა სკოლის უმწყობრო და სამწყობრო ასეულები.

მეთაურთა სკოლის ხსენებულ ასეულებიდან 28 ნოემბერს იქნენ გაშვებული წ. არმიელები გრძელ ვადიან შვებულებაში.

წინა დღით 27 ნოემბერს გამართული იქნა მათ პატივსაცემათ საზეიმო საღამო, რომელზედაც ვრცელი სიტყვით გამოვიდა სკოლის უფროსი ამხ. ტალახაძე. ამხანაგმა დაწვრილებით გააცნო მიმავალ არმიელებს თუ როგორია ამჟამად საერთაშორისო მდგომარეობა, როგორ უყურებს მას საბჭოთა კავშირი, როგორია თვით ამ კავშირის ეკონომიური მდგომარეობა და მრავალი სხვა.

მომხსენებელმა ბოლოს მოუწოდა ამხანაგებს, ენერგიულად შეუდგენ სოფელში დაბრუნების შემდეგ კულტურულ და სხვა ფრონტებზე მუშაობას.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ აგრეთვე სკოლის სხვა მეთაურები. ისინიც მოუწოდებდენ შვებულებს, გამოიყენონ ყაზარმაში მიღებული ცოდნა სოფლად მუშაობის დროს.

სიტყვების შემდეგ წავიდა წარმოდგენა. მეორე დღეს გაიმართა გამოსასალმებელი სადილი.

აქ ერთხელ კიდევ გაახსენეს წამსვლელ ამხანაგებს თავიანთი მოვალეობა და შემდეგ ორკესტრით მივაცილეთ ისინი სადგურამდე.

წ. არმ. ალ. ქასრაძე.

## წითელ მხედრებს.

დღეს მსოფლიო ჯვარცმის წუთებს, გადაითვლის გამალებით,
ელის რაშებს წითელ ალში არენებზე აცეცხლებულს,
და ტანჯულნი დღეს რომ შფოთვენ შებოჭვილნი ცივ რკალებით—
მას იხილავს ეს ქვეყანა თქვენთან ერთად ამხედრებულს!..
დრო გაივლის... ამ ბრძოლაში ძველ მსოფლიოს ბილაგანი
ჩაინგრევა, ჩაბარდება დაშორებულ მის წინაპარს,
ეჩრდება ამოვარდნა გრიგალური ურაგანის,—
მაშინ ბავშებს ალტაცებით მოუთხრობენ თქვენზე ზღაპარს!..
და ეტყვიან მოწიწებით: ძვირფას ლეგენდარულ ამბავთ...
მაგრამ დღეს კი ბრძოლა მართებს თქვენ შეურყევ ძლიერ კადრებს,
არსებობის უღელტეხილს სანამ მთლათ არ გადაკვეთავთ —
და არ ჩაშლით სამუდამოთ მტრების გათხრილ ბარიკადებს.

მალდორორ.

## წ. ყაზარმა ხელგაშლილი დაგვიხვდა.

3-ე ლეგიონი.

ლეგიონის ახალწვეულები, სანამ ნაწილში მოვიდოდით, კიდევ არ ვიყავით დარწმუნებული იმაში, რომ წითელი ყაზარმა ასე ხელგაშლილი დაგვიხვდებოდა და ასე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩვენზე.

მისვლისთანავე დიდი სიხარულით შემოგვეგება ლეგ. მთელი შემადგენლობა. ყველას ჩვენსკენ ჰქონდა მოპყრობილი თვალი და ყური და ყველა ჩვენს შეკითხვებზე გარკვევით გვაძლევდენ ახსნა განმარტებას.

ჩვენ ჯერ კიდევ კარანტინში ყოფნის დროს დავრწმუნდით, რომ ჩვენ მოვსულვართ ისეთ ადგილზე, სადაც სამხედრო ხელოვნებასთან ერთად წითელ არმიელებს აძლევენ პოლიტიკურსა და საერთო განათლებას.

ჩვენ მზადა ვართ მთელი ჩვენი ენერგიით, პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობანი და დავიმსახუროთ ღირსეული წითელი მხედრის სახელი.

გაუმარჯოს წითელ არმიას და მის ხელმძღვანელებს.

ახალწვეული
ალ. ჯანელიძე.

## კულტურული მუშაობის ფრონტზე.

ქართ. ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონში უკვე გაჩაღდა კულტ-საგანმანათლებლო მუშაობა. ესკადრონებში გვაქვს მოწყობილი შემდეგი კუთხეები: ლენინის, სამხედრო, სანიტარული, პოლიტიკური და სხვა. გვაქვს აგრეთვე ცნობის ყუთი, კითხვა პასუხის რვეული, ყოველ დღე მოგვდის სისტემატიურად შემდეგი გაზეთები: „წითელი არმიელი“, „კომუნისტი,“ და კვირეული გაზეთი „ახალი სოფელი,“ საჭიროა გამოგვიწერონ „ახალგაზრდა კომუნისტი“. შევიძინეთ ახალი წიგნები, როგორც პოლიტიკური, ისე ლიტერატურული. ყველა ესკადრონებში არიან წერა-კითხვის უცოდინარები, რომლებსაც ასწავლიან წერა-კითხვას.

ნაწილში გვაქვს დაარსებული შემდეგი წრეები: პოლიტიკური წრე, ლიტერატურული, სამხედრო, დრამატიული, აგრონომიული, სამხკორთა, მომღერალთა, ფიზ-კულტურის, და სხვა.

ნაწილში სისტემატიურად იცემა კედლის გაზეთი, რომელშიდაც ახალწვეულებიც ღებულობენ მონაწილეობას. ყოველ ესკადრონებში არიან საკმაოდ მომზადებული ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ არა მცოდნეებს.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## ჩვენს სამხკორთა შორის.

3-ე ლეგიონი.

ამ უკანასკნელ ხანებში სამხკორთა აღზრდისა და მომზადების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. დაარსებული იქნა სამხკორთა მოსამზადებელი სემინარი, ხშირად იმართება სამხკორთა წრის კრებები, ორგანიზატორ კენჭაძის ხელმძღვანელობით.

სამხკორთა დასაინტერესებლად ამხ. ორგანიზატორის მიერ მოწყობილი იქნა სამხკორების ექსკურსია ქალაქის საქსოვი ქარხნის დასათვალიერებლად.

ექსკურსიამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, დათვალიერებული იქნა დაწვრილებით ქარხნის ყველა განყოფილებები, რითაც საშვალება მოგვეცა გავსცნობოდით მუშებსა და ინდუსტრიალური წარმოების ერთ დარგს.

განზრახულია ექსკურსიების მოწყობა სხვა და სხვა საინტერესო დაწესებულებებსა და ადგილებში. ასეთი მუშაობით იმედი გვაქვს ლეგიონში შევქმნით სათანადოთ მომზადებულ სამხკორთა კადრს.

სამხკორი ნიკა.

## ვინ იქნება შემდეგი?

28 ნოემბერს შესდგა მესამე ლეგიონის სკოლის საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება გაზ. „წითელ არმიელის“ გამოწერა და გავრცელების შესახებ. მთელმა კრებამ ერთსულოვნათ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც სკოლის ყველა მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა იწერენ „წითელ არმიელ“-ს შეუწყვეტლივ თითო ცალს თითეული, ხოლო კურსანტები კი ვიწერთ 27 ცალ გაზ. „წითელ არმიელს“, თითეული ათი კაცი თითო ცალს და ვიწვევთ გამოიწერონ ხსენებული გაზეთი შემდეგ ასეულებს: 3-ე ლეგიონის მესამე ასეულს, პირველ ასეულს და 9-რე ასეულს.

იმედია ზემო აღნიშნული ასეულები ჩქარა გამოეხმაურებიან ჩვენს გამოწვევას.

კენჭ ძე.

## ავირჩიეთ დელეგატები ქალაქის საბჭოში.

1 ლი მესანგრეთა ასეული.

20 ნოემბერს შესდგა ასეულის საერთო კრება, რომელზედაც სხვა და სხვა საკითხებთან ერთად უნდა მომხდარიყო ქალაქის საბჭოში გასაგზავნ დელეგატების არჩევნები.

მოხსენებით გამოვიდა ასეულის სამხკომი ამხ. ახობაძე, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას საბჭოს წარსული მოღვაწეობის შესახებ და შემდეგ შეეხო იმასაც, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოს და მასში მუშაობას.

საერთო სახელმწიფოებრივ მუშაობაში ჩაბმის უფლება და თავისი წვლილის შეტანა ამ დიდ საქმეში წითელ არმიელსაც აქვს. საბჭოთა ხელისუფლება მასაც სრულუფლებიან წევრად ხდის და მასაც შეუძლია იყოს, როგორც არჩეული, ისე არჩევნებში მონაწილეობის მიმღები.

ამხანაგმა მოუწოდა კრებას აირჩიონ ისეთი ამხანაგები, რომლებიც შესძლებენ მუშაობას.

კრებამ ერთხმად აირჩია საბჭოში გასაგზავნ დელეგატებათ: ამხ. ახობაძე, წ. არმ. კამკამიძე და ამხ. ენუქიძე.

სამხკორი ლ. გიორგაძე.

## შეჯიბრი ფიზკულტურის ფრონტზე.

### ამხ. ელიავას სახელობის ფეხბურთელთა ჯგუფმა გაიმარჯვა.

პირველი ლეგიონი.

პირველ ლეგიონში კარგა ხანია არსებობს ამხ. შ. ელიავას სახელობის ფეხბურთელთა ჯგუფი, რომელსაც ამ დღეებში მოუხდა შეჯიბრება არმიის სამხედრო პოლიტ-სკოლის ფეხბურთელთა წრესთან. შეჯიბრი გამართა მე-21 სკოლის მოედანზე. პირველ ხანებში ორივე განწევრები ენერგიულად აწარმოებდენ თამაშს, კაცს ეგონებოდა თითქოს თანაბარი ძალები შეხვდენ ერთმანეთს და შეჯიბრიც უშედეგოთ დამთავრდებაო, მაგრამ პირველი ლეგიონის განწევრმა თან და თან მოიკრიბა შამოზოგვილი ენერგია და სიმამაცე, ის თანდათან გადავიდა შეტევაზე. მოგერიება შესუსტდა. პოლიტსკოლის ფეხბურთელთა განწევრის სისუსტე თანდათან თვალსაჩინო შეიქნა და ველარ გაუმკლავდა ლეგიონის ფეხბურთელთა განწევრს, რომელმაც ზედი ზედ გაიტანა სამი ლელო.

შეჯიბრი დამთავრდა პირველი ლეგიონის განწევრის სრული გამარჯვებით.

შეჯიბრის შედეგია 3—0 ამხ. შ. ელიავას სახელობის ფეხბურთელთა ჯგუფის სასარგებლოთ.

სამხკორი მაშაკიძე.

## მეტი მუყაითობაა საჭირო.

4-ე ლეგიონის 3-ე ასეული.

ლეგიონის ცვალებად შემადგენლობის შვებულებაში გაშვების დროს, წინ სწარ იქნენ არჩეული რაიონებისა და თემების ტერწმუნებულები, რომლებსაც უნდა ეწარმოებინათ მუშაობა თავიანთ რაიონებსა და თემებში ცირკულარის თანახმად. სამწუხაროთ ყველა რაიონების და თემრწმუნებულების გაერთიანებულ კონფერენციაზე გამოირკვა, რომ არც ერთს არაფერი არ გაუკეთებია. ამ გარემოებას საჭიროა შესაფერი ყურადღება მიაქციონ და თემრწმუნებულებმაც უკუაგდონ უმოქმედობა და გულგრილობა. უნდა იცოდენ, რომ ის საქმე, რომელიც მათ აქვთ დავალებული უდიდესი მნიშვნელობის არის და მეტი მუყაითობა უნდა გამოიჩინონ მისი სისრულეში მოსაყვანათ. იმედია ნაკლს გამოასწორებენ მომავალში მაინც.

ცვალებადელი გოგი.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

## ცუდი პურით გვკვებავენ.

მე-4 ლეგ. მე-2 ათასეული.

აგერ ერთი კვირა იქნება, რაც ათასეულში გვირიგებენ უმცხვარ და უვარგის პურს. წითელ არმიელები ნახევარჯერ მშიერი ვრჩებით.

უვარგის პურს ვერ ვჭამთ. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე?

მიიღეთ ზომები. გამოაკეთეთ პურის ხარისხი და მოგვეცით კარგად გამოშუშებული პური.

წ. არმ. შავი წყლის პირელი.

## მასწავლებელი—მეთაურიც ასეთი უნდა.

6-ხე ლეგ. მეთაურთა სკოლა.

ლეგიონის სკოლა უკვე შეივსო ახალწვეულებით და დაიწყო მეცადინეობაც. ხშირად ვმხიარულობთ ამასთანავე ერთად, მაგრამ ეს მხიარულება ხანდახან უხეშ სახესაც ღებულობს, რასაც ზოგიერთი მეთაურებიც ხელს უწყობენ. აი მაგალითიც: ერთ საღამოს მეორე ოცეულის ერთ კურსანტს აელო ხელში ჩონგური და უწმაწური სიტყვებით რაღაცას ამღერებდა ზედ.

გვერდში უჯდა ათისთავი ლიპარტაშვილი და კიდევ უფრო აქეზებდა ცუდი სიტყვებით.

როგორი აღმზრდელი უნდა იქნეს ასეთი ამხანაგი?

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

სამხედრი ნინაშვილი.

## მოგვეცით კოოპერატივი.

5-თე ლეგიონი.

ლეგიონში არა გვაქვს კოოპერატიული დუქანი, რის გამო სულს გვხდიან კერძო ვაჭრები, რომლებთანაც იძულებული ვართ ვიაროთ. არა ერთხელ გვითქვამს ამის შესახებ, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს. დაგვიარსეთ ერთი კოოპერატივი.

მოგვეცით საშუალება, რომ აუცილებელი საგნების შეძენა შევსძლოთ შეღავათიან ფასებში.

სამხედრი ქარ-ბუქი.

# უცხოეთის არმიებში

**კაპიტალისტები იარაღდებიან.**

ოკეანეს იქითა ქვეყანაში—ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყეს ახალი უზარმაზარი გემის აშენება, რომელზედაც მოთავსებული იქნებიან ასამდე საომარი თვითმფრინები (ჰაეროპლანები). ამ გემს ეწოდება ავიო-მატკა.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები—ძლიერ დიდი და უზარმაზარი და მდიდარი ქვეყანაა. იქ ქვეყნის ბატონ-პატრონი და მმართველები არიან კაპიტალისტები. ისინი ფიქრობენ, რომ ის შამოსავალი, რომელიც მათ ხელში იყრის თავს თვით ამერიკიდან ცოტაა და ამიტომ ისინი ცდილობენ თავისი ნაწარმოები გაიტანონ უცხოეთის ბაზარზე, მაგრამ იქ ისინი სხვა სახელმწიფოებსაც ხვდებიან, რომლებიც ამერიკისამებრ ცდილობენ თავისი ნაწარმოების გასაღებას. იწყება მათ შორის მეტოქეობა, რომელმაც შეიძლება ომიც გამოიწვიოს. სწორედ ამიტომ არის რომ ემზადებიან ისინი. იგონებენ სხვა და სხვა გაუმჯობესებულ ტიპის იარაღებს და საომარ საშვალებებს, რომ საჭიროების დროს მომზადებული შეხვდენ მოწინააღმდეგეს.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ყველა ქვეყნებიდან საზღვრავს უზარმაზარი ოკეანე—ზღვა. ამიტომ არის რომ ისინი უდიდეს ყურადღებას აქცევენ საზღვაო ფლოტს.

ის დიდი გემი, რომლის შესახებაც ზევით ვამბობდით, და რომელსაც ამ ჟამად აშენებენ ამერიკელები ღირება 100 მილიონი მანეთი.

ის შენდება იმისათვის, რომ მასზე შეიძლებოდეს ჰაეროპლანების მოთავსება. ომისა და შეტაკების დროს ჰაეროპლანები აფრინდებიან გემიდან, თავს ესხმიან მოწინააღმდეგის გემებს, ან მათ დასახლებულ ადგილებს და შემდეგ ისევ ბრუნდებიან უკან გემზე.

## პოლონეთის არმია.

**ჯარისკაცებისა და უმცროს მეთაურების სწავლება.**

საკავალერიო ახალი წესდების ძალით, უმცროსი მეთაურები მზადდებიან ესკადრონების უფროსებით. სპეციალისტების მომზადება პირველად სწარმოებს პოლკში—შემდეგ მის გარეშე.

ახალგაზრდა ჯარის კაცების სწავლება იყოფა ორ პერიოდათ: პირველი 5-თი თვე, მეორე 6-სი თვე. პირველი პერიოდის განმავლობაში ამზადებენ რაც შეიძლება მეტ მეომრებს ცხენოსანთა წყობილებისათვის, ე. ი. რომ ჯარის კაცს ადვილად შეეძლოს თავისი ნაწილის შემადგენლობაში მოძრაობა და ყველა აუცილებელ ვალდებულებათა შესრულება.

მეორე პერიოდის 4-ხი თვის შემდეგ ჯარის კაცები უკვე ინიშნებიან განსაზღვრულ სამსახურისათვის წყობაში, და ამას გარდა სპეციალურ სამსახურში—მოთვალთვალედაც, მესანგრეთ, ტელეფონისტათ, მებუკეთ და სხვა. ამ პერიოდის მიწურულში ახალგაზრდა ჯარის კაცმა უნდა დაიკავოს განყოფილებაში განსაზღვრული ადგილი. უმრავლესობა ამ დროს კარგად უნდა იყოს გაცნობილი ტყვიამფრქვევზე მუშაობას.

უფროსი თაობა ე. ი. სამსახურის მეორე წელი მიმდინარეობს უკვე განვლილის განმეორებაში და მათ ამზადებენ ინსტრუქტორების თანაშემწეებათ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეციალისტებს, რადგან ომის დროს ისინი თამაშობენ უმთავრეს როლს.

ესკადრონის უროსს ნება ეძლევა, ჯარისკაცებში დაინტერესების გამოწვევის მიზნით შესცვალოს მეცადინეობის წესი.

# ამბები სოფლებიდან.

— **დახმარება სკოლას.** ზუგდიდის აღმასკომმა დაადგინა სოფ. ნაფიჩხოუს სკოლის ასაშენებლათ გადასდოს 100 მანეთი.

— **გორის აღმასკომმა** მისწერა სათემო აღმასკომებს, რომ დაარსონ წლოვანების გამომრკვევი კომისიები მათთვის, ვისაც მეტრიკული საბუთები დაჰკარგვია.

— **ნათესების დაზღვევა.** ახალქალაქის აღმასკომმა მიზანშეწონილად სცნო შემოიღოს ნათესების სავალდებულო დაზღვევა, გვალვიდან, სეტყვიდან და სხვა მოვლენებიდან.

— **თელავის აღმასკომმა** დაადგინა გამოიმუშავოს ბინების ნიხრი და სავალდებულო გახადოს იგი ბინების ყველა გამქირავებლთათვის.

# ახალი ამბები.

— ზაჰესის ტეხნიკურ მომუშავეთათვის სახლების ასაგებათ ზაჰესკომმა გადასდო 14 ათასი მანეთი.

— ტფილისის აღმასკომმა დაადგინა სოფ. წავკისში შეუდგეს სამკურნალო მცენარეულობის მოშენებას და იქვე აავოს წამლების დასამზადებელი ლაბორატორია.

— ზაჰესის სამუშაოების დაზღვევა. ზაჰესკომმა დაადგინა ზაჰესის რაიონის სამუშაოთა მთელი ქონება დაზღვეოს.

— სანიტარული განათლება. გასულ წელს ტფილისის მაზრაში მოწყობილ იქნა სანიტ-განათლების 24 კუთხე.

## პასუხი შეკითხვებზე.

**მუმლაძეს.** ოჯახური მდგომარეობით სამსახურიდან არ გაგანთავისუფლებენ. უვადო შვებულებაში წახვალთ გაისათ.

**ნალს.** სამხკორებს დაბეჭდილ კორესპონდენციებში ეძლევათ ჰონორარი და ამ ფულით შეგიძლიათ შეიძინოთ საწერი ქაღალდი.

**მასვე.** თქვენ გსურთ, როგორც იწერებით, იყოთ გაზ. „კომუნისტი“-ს კორესპონდენტი. სწერეთ კორესპონდენციები და იქნებით კორესპონდენტი.

**ჭალისხეველს.** 56 წლის დედას და დას საოჯახო ულუფა არ ეკუთვნის.

**სანდროს ძეს.** ზედმეტ მსახურ უმცროს მეთაურად რომ დარჩეთ მოგეცემათ იმდენი, რამდენიც გათვალისწინებული იქნება შტატით.

**ბალთელს.** მოხალისეების მიღება წითელ ჯარში აკრძალულია.

**რაზმაძეს.** თუ თავისუფალი ადგილი იქნება, როგორც წ. ა. უნდა მიგიღონ პირველ რიგში რკინის გზის დამცველთა რაზმში.

**ლომაძეს.** თანახმად ბრძანებისა თქვენ შეგიძლიათ სასწავლებელში სიარული მხოლოდ თქვენი უფროსის ნებართვით.

**უმცროს მეთაურს.** ბინის ქირა მეთაურებს არ ეძლევათ.

**ა—ს.** 1903 წ. დაბადებულები მსახურებენ ქვეითა ჯარში ორ წელიწადს. თუ ოჯახური მდგომარეობა განთავისუფლებდათ ამის შესახებ უნდა წარგედგინათ თავის დროზე საბუთები. ეხლა დაგვიანებულია.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**თანამედროვე ყიბლანი (კომპასი).**

თანამედროვე ოკეანის გემებზე აღარ იხმარება ძველი ანდამატიანი ყიბლანები. (ყიბლანი მიმართულების მაჩვენებელი ხელსაწყოა. ზღვაზე გემები ამ ხელსაწყოს საშვალებით გებულობენ თავისი ცურვის მიმართულებას). ძველად და საერთოდ ამ უკანასკნელ ხანებამდე ხმარებაში იყო ანდამატიანი ყიბლანი. ეხლა როგორც ზევით ვსთქვით დიდ გემებზე იხმარება არა ანდამატიანი, არამედ ე. წ. ჟიროსკოპი, რომელსაც დიდი უპირატესობა აქვს პირველთან შედარებით.

ანდამატიანი ყიბლანში ბევრ უხერხულობას აქვს ადგილი.

მასში საჭირო იყო ყოველთვის შესწორებების შეტანა, რადგან ანდამატის და ე. წ. გეოგრაფიული პოლიუსები ამ ყიბლანში არ ემთხვევიან ერთმანეთს. შეუსწორებლად ეს მოვლენა ყოველთვის იწვევს შეცდომების დაშვებას.

ახალი ჟიროსკოპიული ყიბლანის ხმარებაში შემოღებით, კი ჩრდილოეთის მიმართულება ყოველთვის განსაზღვრულია.

ამას გარდა ამ ყიბლანზე ვერ მოქმედობს ე. წ. ატმოსფერული ელექტრობა. ანდამატიანი ყიბლანი გემზე მაინც ინახება, როგორც მარაგი უკიდურეს შემთხვევისათვის.

**რადიო ცნობათა გადაცემის ახალი წესი.**

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ლონდონში (ინგლისი) მოახდინეს ცდა რადიო ცნობათა გადაცემის ახალ საშვალებებზე, რომლის დროს თავიდან არის აცილებული ის გარემოება, რომ ადამიანის ორივე ყური ერთნაირად ღებულობენ ბგერებს, ეს კი ძლიერ ასუსტებს გადამცემის ბგერითი სიძლიერეს.

ეს მოვლენა აცილებული იქნა თავიდან მით, რომ გადაცემა სწარმოებდა ორი მიკროფონის საშვალებით, რომლებიც მოთავსებული იყვენ სხვა და სხვა ოთახებში. ორივე ისინი შეუერთეს სხვა და სხვა რადიო სადგურებს.

მიღება სწარმოებდა ორი ელსმენის მილით. რადიო ცნობათა გადაცემის ამ საშვალებამ დიდი შედეგები მოიტანა. მას უწოდეს სტერეოსკოპიული გადაცემის წესი.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქარ. მსრ. დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები შემდეგ ამხანაგებს:

1) ხუციშვილი რაფიელ მიხეილის-ძეს სამოსწავლო ოცეულის მეთაური, დუშეთის მაზრიდან ქალ. დუშეთიდან, გლეხი. 2) კვიჟინაძე რაჟდენ დომენტის-ძეს შორაპნის მაზრიდან სოფ. შუქრუთი, გლეხი, ოცეულის მეთაური. 3) ბლუაშვილი გრიგორი პავლეს-ძეს ხარაგოულის თემი, სოფ. ზარანიდან, შორაპნის მაზრიდან, წითელი არმიელი, გლეხი.

პირველ ორს შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტიის წევრათ გადარიცხვის შესახებ, მესამეს კი კომ-პარტიაში კანდიდატათ მიღებაზე. თუ ვინმეს რამე საწინააღმდეგო გაქვთ ამ ამხანაგების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღის განმავლობაში, ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში.

ცალკე მესანგრ. ასეულის კომუჯრედი.

ქართულ სამხედრო პოლიტ-სკოლის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები ა. ლ. კ. კავშირის წევრობიდან კ. პ. კანდიდატად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) გიორგაძე ალექსანდრეს და 2) შეყლაშვილი ამბროსის.

გთხოვთ თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო ზემო აღნიშნული ამხ. ამხ. შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

კომ-უჯრედის პ/მგ. მდ. ხუხუა.


## რა ღირს „წითელი არმიელ“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის.


## განცხადება.

დეკემბრის 2, საღამოს 5 საათზე ქართ. დივიზიის ცენტრალურ კლუბში შესდგება პროფ. ლ. მ. მელიქსეტ-ბეკოვის ლექცია მეთაურთა და პოლიტშემადგენლობისთვის თემაზე:

„ამიერ-კავკასიის ისტორია“.

აგიტპროპნაწილის დრ. უფროსი ე. ხუციშვილი.